შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯი''

პროფესიული მომზადების პროგრამა

„შინმოვლის სპეციალისტი“

მარნეული

2021

1. პროგრამის სახელწოდება: პროფესიული მომზადების პროგრამა „შინმოვლის სპეციალისტი''

2. განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯი'';

3. პროგრამის განხორციელების ადგილი: საქართველო 3000 ქ. მარნეული 26 მაისის ქუჩა N 80 ტელ. 5 77 75 30 98;

4. პროგრამის ხანგრძლივობა: 13 კვირა; 65 სამუშაო დღე (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით); სულ 390 ასტრონომიული საათი, მათ შორის თეორია-280 ასტრონომიული საათი; პრაქტიკა-110 ასტრონომიული საათი,

5. პროგრამის განხორციელების ინტესივობა: 30 საათი კვირაში, მეცადინეობა ჩატარდება სამუშაო დღეებში.

პროგრამაზე მოსარგებლეთა მინიმალური რაოდენობა 12, მაქსიმალური 50 (2 ჯგუფი, თითოეულ ჯგუფში 25-25 მოსარგებლე).

6. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები:

მინიმალური ასაკი 18 წელი; საბაზო განათლება; აპლიკანტისთვის მომვლელის ფუნქციების რეალურ გარემოში გაცნობა პროგრამაზე

სწავლის მყარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით; ტესტირება.

7. პროგრამის აღწერა:

პროფესიული მომზადების „ შინმოვლის სპეციალისტის“ პროგრამის მოცულობა არის 390 საათი და გრძელდება 13 კვირა 30 სთ კვირეული დატვირთვით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა: საბაზო განათლება, მინიმალური ასაკი 18 წელი, აპლიკანტისთვის მომვლელის ფუნქციების რეალურ გარემოში გაცნობა პროგრამაზე სწავლის მყარი გადაწყვეტილების მიღების მიზნით; ტესტირება.

პროგრამის გავლის შემდეგ მსმენელს შეუძლია:

- განმარტოს ანატომიისა და ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპები;
- აღწეროს ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური პროცესები;
- შინმოვლის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;
- ეფექტური კომუნიკაცია შინმოვლაში;
- შინმოვლის მომსახურების დაგეგმვა და ადექვატური/უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- ბენეფიციარისთვის მოვლითი ღონისძიებების ჩატარება;
- ბენეფიციარისთვის, მისი გარემოცვის წევრებისთვის რეკომენდაციების მიცემა კომპეტენციის ფარგლებში; ბენეფიციარის მოვლა სხვადასხვა თავისებურებების გათვალისწინებით;
- ბენეფიციარის პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების იდენტიფიკაცია კომპეტენციის ფარგლებში, დახმარების გაწევა და გადამისამართება.

პროგრამის დასრულების შემდეგ მსმენელს აქვს შინმოვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები და შესაძლებლობა დასაქმებისა (ხანდაზმულთა მოვლის სახლი, დღის ცენტრი, სათემო მომსახურება, საოჯახო ტიპის საცხოვრისი და სხვა) ან/და თვითდასაქმების.

პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად და კონკრეტულადაა აღწერილი ცოდნისა და უნარების მიხედვით. პროგრამის მიზნები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან.

8. პროგრამის მიზნები:

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს ქვეყანაში არსებული შრომის ბაზრის მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, მოამზადოს ადგილობრივ ბაზარზე კონკურენტუნარიანი ზრუნვის სისტემისთვის საჭირო თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარის მქონე სპეციალისტი მომვლელი, რომელიც როგორც ბინაზე ასევე, სხვადასხვა ტიპის დაწესებულებაში (ხანდაზმულთა მოვლის სახლი, დღის ცენტრი, სათემო მომსახურება და საოჯახო ტიპის საცხოვრისი და სხვა) შეძლებს სწორი და ადექვატური საბაზისო მოვლის მომსახურების მიწოდებას ბენეფიციარის ინდივიდუალური საჭიროებების და პირადი უსაფრთხოების წესების დაცვის გათვალისწინებით. პროგრამის მიზანია შინმოვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები გამოუმუშაოს ისეთ ადამიანებს, რომლებსაც არა აქვთ სამედიცინო განათლება და მისცეს მათ დასაქმების საშუალება.

9. სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. ანატომიისა და ფიზიოლოგიის საბაზისო პრინციპების ცოდნა;
2. ორგანიზმში მიმდინარე პათოლოგიური პროცესების აღწერა;
3. შინმოვლის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;
4. ეფექტური კომუნიკაცია შინმოვლაში;
5. შინმოვლის მომსახურების დაგეგმვა და ადექვატური/უსაფრთხო გარემოს შექმნა;
6. ბენეფიციარისთვის მოვლითი ღონისძიებების ჩატარება;
7. ბენეფიციარისთვის, მისი გარემოცვის წევრებისთვის რეკომენდაციების მიცემა კომპეტენციის ფარგლებში;
8. ბენეფიციარის მოვლა სხვადასხვა თავისებურებების გათვალისწინებით;
9. ბენეფიციარის პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების იდენტიფიკაცია კომპეტენციის ფარგლებში, დახმარების გაწევა და გადამისამართება.

10.პროგრამის განხორციელების გეგმა

სასწავლო კვირა	თემატიკა	თემატიკის შესაბამისი სწავლის შედეგების ნომრები	კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა	სწავლების მეთოდი/ები	შეფასების მეთოდი/ები	სასწავლო გარემო
პირველი კვირა	შინმოვლის კონცეფცია	3	6სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო შემთხვევის ანალიზი	გამოკითხვა პრაქტიკული დავალება	A C გარემო
	შინმოვლის კომპონენტები - ფსიქოსოციალური და საბაზისო მოვლა	3	6სთ			
	მოვლის თეორიული ასპექტები	3	3 სთ			
	ეთიკის მნიშვნელობა შინმოვლის სფეროში	3	4 სთ			
	მომვლელის ფსიქოემოციური (სტრესი, ემოციების კონტროლი, გადაწვა და ა.შ.) მდგომარეობის სტაბილურობა;	3	6სთ			

	დამოკიდებულების ხარისხის, უძლურების შეფასება - ბართელის უძლურების შკალა, ADL და IADL ტესტები;	3	5 სთ			
მეორე კვირა	ანატომიისა და ფიზიოლოგიის ზოგადი პრინციპები;	1	2 სთ	ლექცია ინტერაქციული ლექცია დისკუსია	გამოკითხვა	AC გარემო
	საყრდენ-მამოძრავებელი სისტემა;	1	4 სთ			
	ნერვული სისტემა	1	4 სთ			
	გრძნობათა ორგანოები და ენდოკრინული სისტემა;	1	4 სთ			
	კარდიოვასკულარული და ჰემატოლოგიური სისტემა;	1	4 სთ			
	რესპირატორული, საჭმლის მომნელებელი და შარდ-გამომყოფი სისტემები;	1	4 სთ			
	ლიმფური და იმუნური სისტემა;	1	4 სთ			
	რეპროდუქციული სისტემა;	1	4 სთ			

მესამე კვირა	ორგანიზმში მიმდინარე პათანატომიური და პათფიზიოლოგიური პროცესები;	2	6 სთ	ლექცია ინტერაქციული ლექცია დისკუსია	გამოკითხვა	AC გარემო
	ინფექციური და პარაზიტული დაავადებები;	2	6 სთ			
	კუჭ-ნაწლავის სიტემის დაავადებები, სიმსუქნე და დიაბეტი;	2	6 სთ			
	გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემის დაავადებები;	2	6 სთ			
	შარდ-გამომყოფი, ენდოკრინული და ნერვული სისტემის დაავადებების აღწერა	2	6 სთ			
მეოთხე კვირა	ბენეფიციარზე დეტალური დაკვირვება;	3	10 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო როლური თამაში	გამოკითხვა პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო პრაქტიკის განმახორციელებელი
	სასიცოცხლო მონაცემების შეფასება (გაზომვა);	3	4 სთ			
	უსაფრთხოებისა და პირადი ჰიგიენის ნორმების დაცვა	3	2 სთ			

	ინფექციის კონტროლის საკითხების გათვალისწინებით.			პრაქტიკული მეცადინეობა		დაწესებულება
	სასწავლო პრაქტიკა	3	12 სთ			
	შინმოვლის მომსახურების მიმწოდებლები;	3	2 სთ			
	კომუნიკაციის პროცესი;	4	3 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო შემთხვევის ანალიზი როლური თამაში პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულება
	მოსმენის პროცესი;	4	3 სთ			
	საუბრის დაგეგმვა და წარმართვა;	4	4სთ			
	ეფექტური ინდივიდუალური და	4	2 სთ			
	ჯგუფური კომუნიკაციის წესები და ბარიერები.					
	დაგეგმვის პრინციპები;	5	3 სთ			
	მოვლის ინდივიდუალური გეგმა;	5	4 სთ			
მეხუთე კვირა	მოვლის უსაფრთხო ადექვატური გარემოს შექმნა საცხოვრებელი პირობების გათვალისწინებით	5	3 სთ			
	სასწავლო პრაქტიკა	5	8 სთ			

მეექვსე კვირა	სასწავლო პრაქტიკა	5	4 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო შემთხვევის ანალიზი როლური თამაში პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულება
	მომვლელის სწორი პოზიცია ბენეფიციართან მუშაობის დროს;	6	10 სთ			
	ბენეფიციარის რეპოზიცირება საწოლში;	6	10სთ			
	სასწავლო პრაქტიკა	6	6 სთ			
მეშვიდე კვირა	სასწავლო პრაქტიკა	6	6 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო შემთხვევის ანალიზი პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულება
	სხეულის მოვლა;	6	10 სთ			
	საკვების და სითხის მიღება;	6	8 სთ			
	დახმარება გამოყოფის დროს;	6	6 სთ			
მერვე კვირა	დახმარება გამოყოფის დროს; (გაგრძელება)	6	2 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია	გამოკითხვა	AC გარემო
	სასწავლო პრაქტიკა	6	12 სთ			

	სხვადასხვა დაავადებების დროს მოვლის თავისებურებები	6	16	პრაქტიკული სავარჯიშო შემთხვევის ანალიზი როლური თამაში პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულება
მეცხრე კვირა	სხვადასხვა დაავადებების დროს მოვლის თავისებურებები (გაგრძელება)	6	8 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო შემთხვევის ანალიზი როლური თამაში	გამოკითხვა პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო
	შინმოვლის დოკუმენტაციის წარმოება.	6	10 სთ			
	დამოუკიდებლობის შენარჩუნება;	7	6 სთ			
	მოვლის ტექნიკური დამხმარე საშუალებების გამოყენება;	7	6 სთ			
მეათე კვირა	მოვლის ტექნიკური დამხმარე საშუალებების გამოყენება; (გაგრძელება)	7	4 სთ	ინტერაქციული ლექცია	გამოკითხვა	AC გარემო

	გართულებების და გამწვავებების თავიდან აცილების სწავლება/რეკომენდაცია (ნაწოლი, ყაბზობა, პნევმონია, კონტრაქტურა, თრომბოზი, სოკოვანი	7	14 სთ	დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო შემთხვევის ანალიზი როლური თამაში პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულება
	დაავადება, ინტერტრიგო, დაცემა, ცისტიტი).					
	მენტალური დარღვევების მქონე პირების მოვლა;	8	8 სთ			
	სასწავლო პრაქტიკა	8	4 სთ			
მეთერთმეტე კვირა	სასწავლო პრაქტიკა	8	8სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო შემთხვევის ანალიზი როლური თამაში პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულება
	გამომწვევი ქცევა - წინაპირობები, გამოვლინება;	8	6 სთ			
	ძალადობა და აგრესია - ამოცნობა, რეაგირება.	8	6 სთ			
	პირველადი დახმარების აღმოჩენის საჭიროებები და გადაუდებელი დახმარების ღონისძიებები	9	10 სთ			

მეთორმეტე კვირა	პირველადი დახმარების აღმოჩენის საჭიროებები და გადაუდებელი დახმარების ღონისძიებები(გაგრძელება)	9	4 სთ	ინტერაქციული ლექცია დისკუსია პრაქტიკული სავარჯიშო შემთხვევის ანალიზი როლური თამაში პრაქტიკული მეცადინეობა	გამოკითხვა პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	AC გარემო პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულება
	მოპოვებული ინფორმაციის გადაცემა ადგილზე გამოძახებული ჯანდაცვის გუნდისთვის.	9	6სთ			
	სასწავლო პრაქტიკა	9	20 სთ			
მეცამეტე კვირა	სასწავლო პრაქტიკა	3,4,5,6,7,8,9	30 სთ	პრაქტიკული მეცადინეობა	პრაქტიკული დავალება დაკვირვებით	პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულება

12.სასწავლო საქმიანობა:

მოსარგებლის სასწავლო საქმიანობა(დატვირთვა) მოიცავს :

- ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას
- პრაქტიკულ მეცადინეობას
- დამოუკიდებელ მეცადინეობას

- პრაქტიკას
- გამოცდების მომზადება/ჩაბარებას

13.სწავლების მეთოდები:

პროგრამის განხორციელების დროს სასურველი შედეგების მისაღწევად შესაძლოა გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მეთოდები:

ინტერაქციული ლექცია, დისკუსია, პრაქტიკული სავარჯიშო, შემთხვევის ანალიზი, როლური თამაში. ასევეშესაბამისი კომპეტენციების განვითარებისათვის ადეკვატური სწავლების სხვა მეთოდები.

14.სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება

არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის შეფასებაა, რომელიც აკონტროლებს მოსარგებლის განვითარების დინამიკას და მისი მიზანია მოსარგებლის დახმარება უკუკავშირის მიწოდების გზით. განმავითარებელი შეფასება საკონტაქტო საათის აქტივობათა განუყოფელი ნაწილია და ის შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ემსახურება მიღწეული სწავლის შედეგის ან შედეგების ერთობლიობის საბოლოო შეფასებას, ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში მოსარგებლეს უფლება აქვს პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება.

განმსაზღვრელ შეფასებას პროგრამის განმახორციელებლის გარდა ესწრებიან წარმომადგენლები პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტებიდან რომლებიც არიან პოტენციური დამსაქმებლები.შესაძლებელია მოხდეს შეფასების პროცესზე დამსაქმებელთა დასწრება.

15. მატერიალურ ტექნიკური ბაზა:

შპს ,,მარნეულის სამედიცინო კოლეჯს'' გააჩნია შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (სააუდიტორიო ფონდი, კომპიუტერული კლასი, ბიბლიოთეკის დარბაზი, საწარმო პრაქტიკის შესაბამისი ბაზა და სხვა რესურსები), რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახის სასწავლო პრაქტიკულ და თეორიულ მომზადებას. ძირითადი პროგრამის სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია აუცილებელი სასწავლო-მეთოდური მასალებით.

A ტიპის სასწავლო გარემო თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისათვის არის განკუთვნილი და აღჭურვილია მოსარგებლისა და პროგრამის განმახორციელებლის მაგიდებითა და სკამებით, დაფით, კომპიუტერით, პრინტერითა და პროექტორით.C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსით - ინვენტარით.

16.სასწავლო დოკუმენტი: კურსის დასრულების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი;

17.დასაქმების სფერო: პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს ხ ანდაზმულთა მოვლის სახლი, დღის ცენტრი, სათემო მომსახურება, საოჯახო ტიპის საცხოვრისი და სხვა

18. პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტები:

- შპს ,,ავერსის კლინიკა'';
- შინმოვლის სამსახური შპს ,,მირამედი'';
- შპს რეგიონალური ჯანდაცვის ცენტრი;
- შპს მარნეულის სამედიცინო ცენტრი ადიკი.